

პნევმოკოკური დაავადება

რა არის პნევმოკოკური დაავადება?

პნევმოკოკური დაავადება არის ინფექცია, გამოწვეული ბაქტერიით *Streptococcus pneumoniae*. ის არის ავადმყოფობისა და სიკვდილის მთავარი მიზეზი, განსაკუთრებით ძალზე ახალგაზრდებში, ან ძალზე ხანდაზმულებში, მათში, ვისაც არ აქვს ან არ უმუშავებს ელენთა, ან დასუსტებული იმუნიტეტი აქვს. არსებობს 90-ზე მეტი სხვადასხვა სახის პნევმოკოკური ბაქტერია.

როგორ ავადდება ან ადამიანები პნევმოკოკური დაავადებით?

ბაქტერია გადაეცემა ადამიანიდან ადამიანს სველებით, ცემინებით ან ახლო კონტაქტით. ადამიანი ატარებს ბაქტერიებს ცხვირსა და ყელში ყოველგვარი ზიანის მიყენების გარეშე, მაგრამ ზოგჯერ მათ შეუძლიათ შეაღწიონ ფილტვებსა და სისხლძარღვებში და გამოიწვიოს პნევმონია, სექტიცემია და მენინგიტი.

ყველს ემუქრება პნევმოკოკური დაავადების რისკი, მაგრამ ხანდაზმული ადამიანები და მცირეწლოვანი ბავშვები ყველაზე მეტად არიან ინფექციის რისკის ქვეშ. განსაკუთრებით რისკის ქვეშ არიან ადამიანები, რომლებიც უკვე ავად არიან, არ აქვთ ელენთა ან აქვთ დასუსტებული იმუნიური სისტემა.

რა არის პნევმოკოკური დაავადების სიმპტომები?

პნევმოკოკურმა ბაქტერიამ შეიძლება გამოიწვიოს ლკაღიზე უფრო ინფექციები, როგორცაა შუა ყურის ინფექციები, ბრონქიტი ან სინუსიტი.

თუ პნევმოკოკური ბაქტერია სხეულში შეიჭრება, ისინი იწვევენ უფრო სერიოზულ დაავადებებს, როგორცაა პნევმონია (ფილტვების ინფექცია), მენინგიტი (თავის ტვინის გარსის ანთება), სექტიცემია (სისხლს მოწამვლა) და ოსტეომიელიტი (ძვლის ინფექცია). ამ ტიპის ინფექციებს მოიხსენიებენ, როგორც ინვაზიური პნევმოკოკური დაავადება (IPD).

ინვაზიური პნევმოკოკური დაავადება (IPD) ძალიან სერიოზული დაავადებაა. ის არის ავადმყოფობისა და სიკვდილის მთავარი მიზეზი, განსაკუთრებით ძალზე ახალგაზრდებში, ან ძალზე ხანდაზმულებში, მათში, ვისაც არ აქვს ან არ უმუშავებს

HSE-ის ეროვნული იმუნიზაციის სამსახურმა

ელენთა, ან დასუსტებულ იმუნიტეტი აქვს. ეს არის პნევმონიის ძირითადი მიზეზი საზოგადოებაში.

მათ შორის, ვინც დაინფიცირდება, 4-დან 1-ს განუვითარდება პნევმონია, 4-დან 1-ს განუვითარდება მენინგიტი და 10-დან 1 მოკვდება.

რომელ პნევმოკოკური ვაქცინებია რეკომენდებული ირლანდიაში?

წლების განმავლობაში *Streptococcus pneumoniae* მდგრადი გახდა მრავალი მედიკამენტის მიმართ, რაც ართულებს პნევმოკოკური ინფექციების მკურნალობას. ვაქცინაციის გზით დაავადების პრევენცია ახლ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე.

არსებობს ორი განსხვავებული პნევმოკოკური ვაქცინა პნევმოკოკური ინფექციის თავიდან ასაცილებლად

პნევმოკოკური კონიუგირებული ვაქცინა (PCV13), რომელიც ეძლევა ყველს ჩვილს, როგორც ბავშვთა იმუნიზაციის რუტინული განრიგის ნაწილი. ეს ვაქცინა იცავს ბავშვებს პნევმოკოკური დაავადების 13 ყველზე გავრცელებული ტიპისგან.

პნევმოკოკური პოლსაქარიდის ვაქცინა (PPV23), რომელიც განკუთვნილია 65 წელზე უფროსი ასაკის და 2 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებისთვის, რომლებსაც აქვთ ხანგრძლივი სამედიცინო მდგომარეობები.

ვინ უნდა მიიღოს PCV13 პნევმოკოკური ვაქცინა?

პნევმოკოკური დაავადების პრევენცია ხდება ვაქცინაციის გზით.

- PCV ვაქცინაცია ტარდება როგორც პირველ დისაბავშვო იმუნიზაციის განრიგის ნაწილი 2, 6 და 13 თვის ასაკში ოჯახის ექიმის მეშვეობით.
- PCV ვაქცინაცია არ არის რეკომენდებული 2 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებისთვის, თუ ისინი არ არიან პნევმოკოკური ინფექციის მაღალ რისკის ქვეშ.

ვინ არ უნდა მიიღოს PCV13 პნევმოკოკური ვაქცინა?

PCV ვაქცინა არ არის რეკომენდებული 2 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებისთვის.

ძალან ცოტაა ისეთი ადამიანი, ვინც არ უნდა გაიკეთოს PCV ვაქცინა. თქვენმა შვილმა არ უნდა გაიკეთოს ვაქცინა, თუკი

HSE-ის ეროვნული იმუნიზაციის სამსახურმა

მას ჰქონდა მწვავე ალერგიული რეაქცია (ანაფილქსია) ვაქცინის წინა დოზაზე ან ვაქცინის ნებისმიერ ნაწილზე.

რას უნდა ველოდეთ PCV პნევმოკოკური ვაქცინის შემდეგ?

ვაქცინის მიღების შემდეგ თქვენს შვილს შეიძლება ჰქონდეს დისკომფორტი, სიწითლე ან შეშუპება იმ ადგილს გარშემო, სადაც ინექცია გაუკეთეს. ის შეიძლება იყოს გაღიზიანებული და ჰქონდეს სიცხე.

თუ ეს მოხდება, შეგიძლიათ მისცეთ მას თხევადი პარაცეტამოლი ან იბუპროფენი. ასევე უნდა მისცეთ დიდი ოდენობით სითხე. დარწმუნდით, რომ თქვენს შვილს არ სცხელა და რომ ტანსაცმელი არ ეხახუნება ნანემსარადგილს.

ბავშვებში, როგორც წესი, ეს უმნიშვნელო გვერდითი ეფექტები აღგდება ერთი ან ორი დღის განმავლობაში.

- 10-დან 1 ადამიანს, ვინც იღებს ვაქცინას, ექნება დისკომფორტი ან შეშუპება იქ, სადაც ვაქცინა იქნა გაკეთებული ან ექნება სიცხე
- შეიძლება იყოს ღებინება, დიარეა, მადის დაქვეითება.

სერიოზული გვერდითი მოვლენები ძალაში იშვიათია.

როგორ მუშაობს PCV ვაქცინა?

PCV ვაქცინა შეიცავს ექსტრაქტებს **პნევმოკოკური** ბაქტერიიდან. ვაქცინა მუშაობს იმით, რომ სხეულს იმუნური სისტემა რეაგირებს ბაქტერიებზე, დაავადების გამომწვევის გარეშე.

რამდენად ეფექტურია PCV პნევმოკოკური ვაქცინა?

PCV ძალაში ეფექტური ვაქცინაა და იცავს 80%-მდე პნევმოკოკური ბაქტერიებისგან, რომლებიც იწვევენ IPD-ს. მას შემდეგ, რაც PCV შევიდა საბავშვო იმუნიზაციის რუტინულ განრიგში, ჩვენ უკვე დავინახეთ IPD-ის შემთხვევების მნიშვნელოვანი შემცირება.

სად შეიძლება გავიგო მეტი?

ესაუბრეთ ჯანდაცვის სანდო პროფესიონალს და ეწვიეთ www.immunisation.ie